ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1240325

ნომერი: AR1211262

თარიღი : 10.04.2014

გაცემის თარიღი : 28.04.2014

გაცნობის თარიღი : 28.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოლოლაკის ხეივანში მშენებარე "ბიზნეს ცენტრი"-ს ელ. მომარაგების სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდებარედ, ახალგაზრდობის ხეივანი, სოლოლაკის ხეივანი კოჯრის გზატკეცილი ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია, კოჯრის გზატკეცილი ახალგაზრდობის ხეივანთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვეფხვია დვალი პ/ნ 38001004585
- საჩხერე ს. საირხე

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02/23/2011წ. #01/3901 ბრძანებაში ტექნიკური

შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 04/10/2014წ. #AR1211262 განცხადებით მომართა შპს „ფინსერვისი XXI”-ის დირექტორმა იური ნოზაძემ და მოითხოვა სამსახურის 02/23/2011წ. #01/3901 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ VI კლასის შენობა–ნაგებობის ნაცვლად, IV კლასის შენობა–ნაგებობის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 02/23/2011წ. #01/3901 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), სოლოლაკის ხეივანი, კოჯრის გზატკეცილი, ბიზნესცენტრის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ. #094/020) შპს „ფინსერვისი XXI”-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.15.05.094.020) შეთანხმდა შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება – აკვარიუმი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2011 წლის 27 დეკემბრიდან 2013 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით.

მიღებული ბრძანების გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ არსებული პარამეტრების მიხედვით, შენობა–ნაგებობა მიეკუთვნება IV კლასს, ხოლო ბრძანების ტექსტში, შეცდომით მითითებულია VI კლასის შენობა–ნაგებობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 02/23/2011წ. #01/3901 ბრძანების ტექსტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02/23/2011წ. #01/3901 ბრძანების ტექსტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და VI კლასის შენობა–ნაგებობის ნაცვლად, მიეთითოს IV კლასის შენობა–ნაგებობა.

2.აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02/23/2011წ. #01/3901 ბრძანებასთან ერთად;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ.#7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.